ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 12/56

2023წლის 24 ოქტომბერი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ USAID-ის ინსტიტუციური განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, საკრებულოს თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეების ჩართულობით შემუშავებულ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ერთიან ნარატივს, ძირითად მიმართულებებს, სამიზნე აუდიტორიებს, საკომუნიკაციო თემებსა და არხებს. დოკუმენტი ეფუძნება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზნებსა და ღირებულებებს და წარმოადგენს მათი ეფექტიანი განხორციელების ხელშემწყობ ინსტრუმენტს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანია მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა თვითმმართველობის განხორციელებაში, დემოკრატიულობის გაუმჯობესების მიზნით არსებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, მუდმივი მონიტორინგის განხორციელება, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და შეფასება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ზრდა; ასევე, მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი იდეების აქტიური ინტეგრაცია მუნიციპალური პროექტების შემუშავების პროცესში. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მხრიდან უკუკავშირის ეფექტური უზრუნველყოფა და სამოქალაქო ჯგუფებთან ახლო კომუნიკაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებს.

ამავე ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ ეს კანონი ან საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის პასუხისმგებელ მუნიციპალიტეტის ორგანოს, აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ამდენად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით უნდა დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგია თანახმად დანართი 1-ისა.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა თანახმად დანართი 2-ისა.

მუხლი 3.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა, საკრებულოს აპარატმა აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

მუხლი 4.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს:

ა) იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას;

გ) სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას;

დ) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას;

ე) სოციალურ საკითხთა კომისიას.

მუხლი 5.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი, ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

მუხლი 6.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა

დანართი 1

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კომუნიკაციის სტრატეგია

2023-2026წწ

სარჩევი

1. შესავალი 3

2. საინფორმაციო გარემოს ანალიზი 3

3. ნარატივი 4

4. საკომუნიკაციო მიზნები და ამოცანები 6

5. საკომუნიკაციო არხები და სამიზნე აუდიტორია 6

1. ძირითადი საკომუნიკაციო არხები 6

2. **ძირითადი სამიზნე აუდიტორია** 7

6. მონიტორინგი და შეფასება 8

1. შესავალი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ერთიან ნარატივს, ძირითად მიმართულებებს, სამიზნე აუდიტორიებს, საკომუნიკაციო თემებსა და არხებს. დოკუმენტი ეფუძნება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზნებსა და ღირებულებებს და წარმოადგენს მათი ეფექტიანი განხორციელების ხელშემწყობ ინსტრუმენტს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანია მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა თვითმმართველობის განხორციელებაში, დემოკრატიულობის გაუმჯობესების მიზნით არსებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, მუდმივი მონიტორინგი განხორციელდება მიმდინარე საქმიანობის ანალიზსა და შეფასებაზე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულობის ზრდა; ასევე, მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი იდეების აქტიური ინტეგრაცია მუნიციპალური პროექტების შემუშავების პროცესში. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მხრიდან უკუკავშირის ეფექტური უზრუნველყოფა და სამოქალაქო ჯგუფებთან ახლო კომუნიკაცია.

2. საინფორმაციო გარემოს ანალიზი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის ძირითადი პრინციპია საკითხის კოლეგიალური განხილვა და გადაწყვეტა. გამომდინარე აქედან პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია საზოგადოებასთან ნდობაზე დამყარებულ აქტიურ კომუნიკაციაზე, რაც ზრდის მოსახლეობისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდების ხარისხს და მათ ჩართულობას მიმდინარე პროცესებში. ეფექტური კომუნიკაცია, პირველ რიგში, გულისხმობს მოსახლეობისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ინფორმაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების (სოციალური ქსელები, საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდი, სმს შეტყობინება და სხვა) საშუალებით იღებს. საკრებულო პერიოდულად ერთვება ტელევიზიების პირდაპირ ეთერებში და აწვდის მოქალაქეებს ინფორმაციას მუნიციპალური პროგრამების შესახებ. საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტოსთან და იყენებს მათ გვერდებს ინფორმაციის განსათავსებლად.

სოციალური მედიის მნიშვნელობა კვლავ ყოველდღიურად იზრდება, რაც საშუალებას გვაძლევს, ინფორმაცია მივაწოდოთ კონკრეტულ მიზნობრივ აუდიტორიას მისთვის ყველაზე გასაგები ფორმით. სოციალური მედიის აუდიტორიის დიდ ნაწილს ახალგაზრდობა წარმოადგენს, თუმცა დღითიდღე იზრდება სხვა ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებელთა რაოდენობაც.

საკრებულოს მიერ დანერგილ ელექტრონული პეტიციის წესის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1% პროცენტს უფლება აქვს საკრებულოს ვებ-გვერდის საშუალებით წარმოადგინოს ელექტრონული პეტიცია, მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2021 წლის შეფასების შედეგების მიხედვით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა 64 მუნიციპალიტეტს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფასების 2022 წლის ანგარიში წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო კვლავაც ლიდერია და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე საჯარო დაწესებულება გახდა.

ინტერნეტის თავისუფლების ზრდასთან ერთად, იზრდება სამიზნე ჯგუფებზე დეზინფორმაციის საფრთხეები.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მერიასთან ერთად, აქტიურად იყენებს მოსახლეობასთან პირდაპირ კომუნიკაციას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, პერიოდულად მართავენ შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, ისმენენ იმ პრობლემებს და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას და უწევენ შესაბამის დახმარებას არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. ასევე, საკრებულოს შესაბამისი კომისიები (იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სოციალურ საკითხთა კომისია; ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;) ატარებენ შეხვედრებს ყოველ ხუთშაბათს მოსახლეობათან საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

საკრებულოს წევრები ასევე ვალდებულნი არიან წელიწადში ორჯერ ამომრჩევლებს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, რაც ასევე საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა განთავსებული ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის გასაცნობად. (https://poti.gov.ge)

საკრებულოს სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი კომისიის საჯარო სხდომებს. საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, დაუსვან შეკითხვები თავმჯდომარეს, მომხსენებელს და თანამომხსენებელს.

3. ნარატივი

საკრებულო არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიასა და ძირითად მიმართულებებს, აკონტროლებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და თანამდებობის პირთა საქმიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე.

საკრებულო შედგება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტობის განსაზღვრას, აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგეგმარებას, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერასა და სხვა მნიშვნელოვან საქმიანობებს.

საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საკრებულოს რეგლამენტი.

საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა)კანონიერება;

ბ)საჯაროობა;

გ)კოლეგიურობა;

დ)დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა;

ე)წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა;

ვ)მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აზრის გათვალისწინება;

ზ)ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველყოფა;

თ) ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე.

მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ განსახილველ საკითხზე მოსახლეობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე სხვა გაერთიანებების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებების, რეკომენდაციების შეგროვების, სისტემატიზაციისა და საკითხზე მათი დამოკიდებულების წარმოჩენის მიზნით ხდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაზრდა და საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, საკრებულო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებასთან მუდმივ კომუნიკაციას, რაც საკრებულოს უფრო ღია და გამჭვირვალე სტრუქტურას ხდის. საკრებულო აქტიურ ნაბიჯებს დგამს მათი ინფორმირებისა და მიმდინარე პროცესებში ჩართულობის მიზნით, მოსახლეობასთან ერთად განსაზღვრავს ქალაქისთვის პრიორიტეტულ პროექტებს/პროგრამებს.

აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის სათათბირო ორგანო - ახალგაზრდულ საბჭოსთან, საკრებულოსა და საბჭოს შორის კომუნიკაციის გამყარებისა და ახალგაზრდული მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.

საკრებულო ასევე ორიენტირებულია აქტიურად ითანამშრომლოს სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა კიდევ უფრო ეფექტიანად განხორციელდეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების ეფექტიანი უზრუნველყოფა.

ინსტიტუტის სიძლიერის, ეფექტურობის, სანდოობის ხარისხის გასაზრდელად, საკრებულოში მიმდინარეობს სისტემური განახლების პროცესი. ასევე, აქტიურად ხორციელდება სტრუქტურული და შინაარსობრივი რეფორმები.

4. საკომუნიკაციო მიზნები და ამოცანები

მიზანი 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობის ზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

ამოცანა 1.1. მოსახლეობასთან საჯარო განხილვა განსახორციელებელი პროექტების შესახებ;

მიზანი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ციფრული კომუნიკაციის მოხმარების ზრდა;

ამოცანა 2.1. ინფორმაციის პროაქტიულად განთავსება;

ამოცანა 2.2. განთავსებული ინფორმაციის ეფექტური გავრცელება;

მიზანი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულობის ზრდა;

ამოცანა 3.1. ბიუჯეტის საჯაროობა;

ამოცანა 3.2. მიღებული გადაწყვეტილებების პროაქტიული გაზიარება;

მიზანი 4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის ცნობადობის ამაღლება;

ამოცანა 4.1. საკრებულოს ფუნქციების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

5. საკომუნიკაციო არხები და სამიზნე აუდიტორია

1. ძირითადი საკომუნიკაციო არხები

1.1. ტელევიზია

აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის ტელევიზია მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. იმართება პერიოდული შეხვედრები ადგილობრივ ჟურნალისტებთან რეფორმების, სიახლეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

1.2. სოციალური მედია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგილობრივ სოციალურ მედიას ერთ-ერთ მთავარ და აქტიურ საკომუნიკაციო არხად განიხილავს. საკრებულო ადგილობრივი სოციალური მედიის საშუალებით რეფორმებისა და აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას კრეატიული საინფორმაციო კამპანიებითა და ციფრული კონტენტით უზრუნველყოფს. ამასთან, სოციალური მედია განიხილება, როგორც უკუკავშირის მიღებისა და საზოგადოებრივი განწყობის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ფლობს მეტა („Facebook“) და „Youtube“ ანგარიშებს. „Facebook“ საქართველოში ყველაზე პოპულარული ადგილობრივი სოციალური მედია საშუალებაა, საკრებულო „Facebook“-მომხმარებლებს ინფორმაციას ფოტომასალის, გრაფიკული ვიდეოების, ინფოგრაფიკების და სხვა საშუალებების სახით რეგულარულად აწვდის. ასევე, „Facebook“-სივრცეს იყენებს საინფორმაციო კამპანიებისთვის და მომხმარებელთან ორმხრივი კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

1.3. ოფიციალური ვებგვერდი - www.poti.gov.ge

საკრებულო ფლობს აქტიურ ვებგვერდს, რომლითაც მომხარებელს რეგულარულად აწვდის სიახლეებს. აღნიშნულ ვებგვერდზე ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია და თანამდებობის პირების საკონტაქტო მონაცემები. საკრებულო უზრუნველყოფს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის განსაზღვრულ ვადებში დროულ მიწოდებას. მოქალაქეს შეუძლია მიმართოს

საკრებულოს თავმჯდომარეს ელექტრონულად „წერილი საკრებულოს თავმჯდომარეს“, ასევე ვებგვერდის საშუალებით ელექტრონულად გამოგზავნოს პეტიცია.

1.4. ინტერნეტ სააგენტოები

დღესდღეობით, ინტერნეტ გამოცემები ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფი წყაროა, რომელსაც საკრებულო იყენებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

1.5. ბეჭდვითი მედია და რადიო

ადგილობრივი ბეჭდური საშუალებები მოსახლეობისთვის სხვადასხვა მიმართულებით დეტალური ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. საკრებულო ბეჭდურ გამოცემებსა და რადიომაუწყებლებთან აქტიურად თანამშრომლობს.

1.6. საზოგადოებრივი ღონისძიებები

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად არის ჩართული საჯარო ღონისძიებებში - მონაწილეობს კონფერენციებში, დისკუსიებში, სემინარებში და სხვა. მსგავსი ტიპის საკომუნიკაციო არხებით, საჯარო შეხვედრები საკრებულოს ინიცირებითაც იმართება.

1.7. ოფიციალური შეხვედრები

აუცილებელია დარგობრივ სამთავრობო უწყებებთან კოორდინირებული თანამშრომლობა, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისას. უწყებათშორისი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, ასევე, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვისას. საჭიროა ინფორმაციის პერიოდული გაცვლა და გამოცდილების გაზიარება.

საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან, საჯარო და კერძო სექტორთან და სხვა. მზაობას გამოხატავს, მოისმინოს და განიხილოს მათი შეფასებები, კონსულტაცია გაიაროს მათთან. მნიშვნელოვანი საკითხების დაგეგმვისას .

2. **ძირითადი სამიზნე აუდიტორია**

საკრებულოს სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტიანად განხორციელებისათვის სამიზნე აუდიტორიების სათანადოდ შერჩევას და გზავნილების მათზე მორგებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. სტრატეგია მოიცავს პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფებს, რომლებთანაც ინფორმაციის პერმანენტული და პროაქტიული მიწოდება მნიშვნელოვანად შეამცირებს საინფორმაციო სივრცეში არსებულ გამოწვევებს და ხელს შეუწყობს დასახული მიზნების განხორციელებას. ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს:

2.1. საჯარო სექტორში დასაქმებული/ მუნიციპალიტეტის ააიპ ორგანიზაციები

2.1.1. საკრებულო

2.1.2. მერია

2.1.3. სახელმწიფო ინსტიტუტები

2.1.4. სკოლის მასწავლებლები/ ლექტორები / დასაქმებული პერსონალი

2.2.კერძო სექტორში მოღვაწე/დასაქმებული

2.3.სამედიცინო პერსონალი

2.4.პენსიონერები

2.5. სტუდენტები

2.6. საგანმანათლებლო დაწესებულებები

2.7.სკოლის მოსწავლეები

2.8.სამოქალაქო სექტორი

2.8.1. არასამთავრობო ორგანიზაციები
2.8.2. საინიციატივო ჯგუფები
2.9. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები
2.10. სხვადასხვა სოციალური ჯგუფები
2.11.მედია და სხვა.

6. მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიით გაწერილი მიზნები სრულდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმით, რომელსაც შეიმუშავებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის აღსრულებისა და კოორდინაციის სამუშაოებს.

შემუშავებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების პროგრესის დადგენის მიზნით, რეგულარულად იზომება და ფასდება შესაბამის სამიზნე აუდიტორიებზე მორგებული ცალკეული ღონისძიებების ეფექტიანობა და გავრცელება. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია მოხდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის შეჯამება და ანალიზი. ყოველწლიურად კი შეჯამების სახით აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით ანალიზდება სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანები და მუშავდება რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო სამოქმედო გეგმის დაგეგმვის პროცესში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (2023-2026 წ.წ)

მიზანი	ამოცანა	აქტივობა	განხორციელების პერიოდი (თვე)												შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ უფლებამოსილი პირი	საორიენტაციო რესურსები	შენიშვნა
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII				
1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობის ზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;	1. მოსახლეობასთან შეხვედრები და ინფორმირებულობა	ვიდეო რგოლის დამზადება	+							+					მინიმუმ 2 ვიდეო რგოლი	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
		სმს შეტყობინების გაგზავნა	+		+		+		+		+		+		მინიმუმ 120000 სმს შეტყობინება	საკრებულოს აპარატი	ადგილობრივი ბიუჯეტი	
		სოციალურ ქსელში დაანონსება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	მინიმუმ 12 ინფორმაცია	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
	2. მოსახლეობასთან საჯარო განხილვა განსახორციელებელი პროექტების შესახებ;	პრეზენტაციის მომზადება					+						+		მინიმუმ 2 პრეზენტაცია	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
		ადგილმდებარეობის შერჩევა და მომზადება					+						+		მინიმუმ 2 შეხვედრა (არანაკლებ 300 ადამიანი)	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ციფრული კომუნიკაციის მოხმარების ზრდა;	1. ინფორმაციის პროაქტიულად განთავსება;	ინფორმაციის განთავსება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	მინიმუმ 120 ინფორმაცია	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
	2. განთავსებული ინფორმაციის ეფექტური გავრცელება;	სოციალურ ქსელში დაანონსება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	მინიმუმ 12 პოსტი	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
		პოსტის დარეკლამება			+			+			+		+		მინიმუმ 4 პოსტი	საკრებულოს აპარატი	ადგილობრივი ბიუჯეტი	
3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულო ბის ზრდა;	1. ბიუჯეტის საჯაროობა;	კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და ფორმით გამოქვეყნება											+	+	მინიმუმ 2 ჯერ	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
	2. მიღებული გადაწყვეტილებების პროაქტიული გაზიარება;	სოციალურ ქსელში განთავსება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	მინიმუმ 12 ჯერ	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის ცნობადობის ამაღლება;	1. საკრებულოს ფუნქციების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა;	სიახლის განთავსება სოციალურ ქსელში	+			+			+			+			მინიმუმ 4 აქტივობა	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	
		მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრები				+						+			მინიმუმ 12 შეხვედრა (მინიმუმ 600 ადამიანი)	საკრებულოს აპარატი	არსებული რესურსის გამოყენება	